აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

31 მაისი, 2019

დადგენილება № 48(18/19)

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ" უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18) დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შეტანილი იქნას ცვლილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18) დადგენილებაში:

მე - 18 მუხლს დაემატოს პუნქტი 18.1' შემდეგი ფორმულირებით:

18.1'. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის დაწყებამდე სადისერტაციო ნაშრომმა უნდა გაიაროს შემოწმება პლაგიატზე არაუმეტეს სამჯერ. ჩაითვალოს, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, თუ პლაგიატის დონე სადისერტაციო ნაშრომში არ აღემატება 15% - ს. ცნობა სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არ არსებობის შესახებ, პლაგიატის შესამოწმებელ პროგრამაზე დისერტაციის გატარების შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციოსაბჭოს წარედგინება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.

თუ პლაგიატზე პირველი შემოწმებისას სადისერტაციო ნაშრომში არ აღმოჩნდა პლაგიატი, მაშინ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა გრძელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18)დადგენილებით განსაზღვრული პროცედურის თანახმად.

თუ სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე პირველი შემოწმებისას სადისერტაციიო ნაშრომში აღმოჩნდა პლაგიატი, მაშინ სადისერტაციო ნაშრომმა არაუადრეს 14 დღისა და არაუგვიანეს 21 დღისა პლაგიატზე შემოწმება უნდა გაიაროს მეორეჯერ.

თუ პლაგიატზე მეორე შემოწმებისას სადისერტაციო ნაშრომში არ აღმოჩნდა პლაგიატი, მაშინ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა გრძელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18)დადგენილებით განსაზღვრული პროცედურის თანახმად.

თუ სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე მეორე შემოწმებისას სადისერტაციიო ნაშრომში აღმოჩნდა პლაგიატი, მაშინ სადისერტაციო ნაშრომმა არაუადრეს 14 დღისა და არაუგვიანეს

21 დღისა პლაგიატზე შემოწმება უნდა გაიაროს მესამეჯერ. ამ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება არ შეიძლება იყოს ფრიადი.

თუ პლაგიატზე მესამე შემოწმებისა სადისერტაციო ნაშრომში არ აღმოჩნდა პლაგიატი, მაშინ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა გრძელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18) დადგენილებით განსაზღვრული პროცედურის თანახმად. ამ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება არ შეიძლება იყოს ფრიადი.

თუ სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე მესამე შემოწმებისას სადისერტაციიო ნაშრომში აღმოჩნდა პლაგიატი, მაშინ დოქტორანტს ენიჭება უფლება ერთი წლის შემდეგ წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. თუკი გადამუშავებულ სადისერტაციო ნაშრომში ერთი წლის შემდეგაც აღმოჩნდა პლაგიატი დოქტორანტი კარგავს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი